

## შეთანხმება

საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის  
სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ

საქართველო და საბერძნეთის რესპუბლიკა (შემდგომ ტექსტში „მხარეები“) ითვალისწინებენ, რა მხარეებს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს და სურვილი აქვთ, რა რომ გააღრმავონ ორმხრივი თანამშრომლობა,

ითვალისწინებენ, რა საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის 1998 წლის 9 იანვარს დადებულ შეთანხმებას „სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

საბერძნეთის რესპუბლიკა საქართველოს სამხედრო აღჭურვილობას გრანტის სახით გადასცემს საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისათვის.

### მუხლი 2

გრანტის სახით საბერძნეთის რესპუბლიკა საქართველოს გადმოსცემს 184 240 (ას ოთხმოცდაოთხი ათას ორას ორმოცი) ევროს ღირებულების შემდეგ აღჭურვილობას:

- ა) მათარა (500 ცალი);
- ბ) მათარის ჩანთა (500 ცალი);
- გ) საველე ფორმა (3000 ცალი);
- დ) ქურთუკი (3000 ცალი);
- ე) ნიჩაბი (50 ცალი);
- ვ) წერაქვი (60 ცალი);
- ზ) რადიოსადგური RACAL PRM-4720 (10 ცალი);
- თ) ნაღმგორცნი (60 ცალი).

### მუხლი 3

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საბერძნეთის რესპუბლიკის არმიის გენერალური შტაბი იქნებიან პასუხისმგებლები მოცემული შეთანხმების განხორციელებაზე.

